ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
პარასკევი, 6 მაისი, 2016
№106 (7032)
ფასი: 50 თეთრი

## საააკაშვილის გუნდს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა



გვ.3

6 მაისიდან
გიორგი ნადირაძე
სტალინი — ქართველი კაცი?
წიგნის სპეციალური ფასი 7,5 ლარი
გაზეთთან ერთად 8 ლარი



# გიორგი ვაშაძე: „უარს ვამბობ სკამისთვის ბრძოლაზე“



გვ.2

„ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილის მმართველობის გაგრძელებას ხელს უწყობს“



## „ნაცმოძრაობას მინაშვილი, კანდელაკი და თაქთაქიშვილიც დატოვებენ“







მიხეილ მაჭავარიანი: „ჩვენ ერთი თვის წინ ვიცოდით, ვაშაძე წასვლას რომ აპირებდა“



გვ.3

## ნაციონალებმა ორ წელიწადში 20.690 ხე მოჭრეს



გვ.4

მინდა ნაცმოძრაობას ვკითხო, ხომ არ იციან, სად გაქრა ბოტანიკური ბაღის ძველი სადგურები? ნაცებმა ის 2009 წელს გაყიდეს

## ამერიკული ტანკები უკვე საქართველოშია



ქართულ-ამერიკულ სწავლება „Noble Partner 2016-ში“ მონაწილეობის მისაღებად გამოგზავნილი ამერიკული მძიმე ტექნიკა საქართველოშია.M1A2 ტიპის ტანკები „აბრამსები“ და ქვეითთა საბრძოლო მანქანები „ბრედლები“ ფოთის პორტში უკვე ჩამოიტვირთა და ეშელონებით ვაზიანის მიმართულებით დაიძრა.

ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ საქართველოში მეორედ ტარდება და ქართული ასეულის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას ისახავს მიზნად. სწავლების სცენარი კი სტაბილურობის, შეტევა/თავდაცვის ოპერაციებს ემყარება.

წელს „ღირსეული პარტნიორი“ ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე მეორედ გაიმართება და მასში 1300 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. სწავლებაში 650 აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის, 500 ქართველი და 150 ბრიტანელი სამხედრო ჩაერთვება. პირველად საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში სწავლებაში M1A2 ტიპის ამერიკულ ტანკებს „აბრამსებს“ გამოიყენებენ.

წვრთნაში ასევე ჩართული იქნება C-130 ტიპის ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი და სხვა აღჭურვილობა.

ქართულ-ამერიკული სწავლება ოფიციალურად 11 მაისს გაიხსნება და 26 მაისამდე გაგრძელდება.

აშშ-ის არმიის ეროვნული გვარდიის ტანკები და ქვეითი საბრძოლო მანქანები ბულგარეთში, ვარნის პორტში ბორანზე დაიტვირთა და შავი ზღვით საქართველოსკენ 2 მაისს წამოვიდა.



გვ.2

## ფიქრია ჩიხრაძე: „მარგველაშვილსა და კვირიკაშვილს შორის კომუნიკაციის პრობლემა არ არსებობს“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინტერპარტიული ჯგუფი შეიკრიბა



## სომხეთმა, შესაძლოა, მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროს



გვ.10

# გიორგი ვაშაძე: „უარს ვამბობ სკამისთვის ბრძოლაზე“

## „ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილის მმართველობის გაგრძელებას ხელს უწყობს“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 5 მაისს, გიორგი ვაშაძემ ნაციონალური მოძრაობიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ამ გადაწყვეტილების მიზეზებზე **გიორგი ვაშაძე** „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, თქვენს გადაწყვეტილებას სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. თქვენი ყოფილი თანაგუნდელები საუბრობენ იმის თაობაზე, რომ თქვენ ვერ მოხვდით საარჩევნო სიის ათეულში და სწორედ ამიტომ დატოვეთ პარტია. ასეა?***

– ეს ხომ სასაცილოა! ჩემს განცხადებაში ძალიან კარგად არის მითითებული ყველა მიზეზი, რატომ დავტოვე პარტია. ისევ იქ არიან ეს ადამიანები, ისევ სკამებისთვის ბრძოლაში არიან. მე საერთოდ უარს ვამბობ სკამისთვის ბრძოლაზე! მე მინდა საქართველოს მომავლისთვის ბრძოლა და მართლა ვფიქრობ, რომ ჩემი მთავარი ამოცანაა სრულიად ახალი პოლიტიკური კლასის მოყვანა ქვეყანაში! აი, ეს არის ჩემი უპირველესი ამოცანა!

***– ბატონო გიორგი, დაახლოებით ერთი კვირის წინ შედგა ჩვენი ინტერვიუ, სადაც გესაუბრებოდით ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ კრიზისზე, თქვენს შესაძლო წამოსვლაზე პარტიიდან, თუმცა ეს კატეგორიულად უარყავით. რა შეიცვალა ამ ერთ კვირაში?***

– მე ერთ კვირაში დავრწმუნდი, რომ კაბინეტურ მმართველობაზე ის ჯგუფი, რომელიც არის პარტიაში, სამწუხაროდ, უარს არ ამბობს. აი, ეს შეიცვალა.

***– და არაფერ შუაშია ის, რომ თქვენ ვერ მოხვდით პირველ ათეულში?***

– რა თქმა უნდა, არა. რაღაც ათეულში, მეცხრე, მეშვიდე თუ მეთერთმეტე, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ვინმეს ლოგიკურად მიგაჩნიათ ეს განცხადება?! საერთოდ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემს ადგილზე მქონდა პრეტენზია?! მე არაერთხელ, თქვენი გაზეთის საშუალებითაც, მისაუბრია ნაციონალური მოძრაობის განახლებასთან დაკავშირებით. არა ახალ სახეებთან დაკავშირებით, რომ ვიღაცა ახალი ადამიანი იყოს სადღაც ან მე სადღაც ვიყო, კონკრეტულ ადგილას, თანამდებობაზე. მე ვსაუბრობ მექანიზმებზე, რომლებიც უნდა დაინერგოს ნებისმიერ ნორმალურ პოლიტიკურ ძალაში.

***– ანუ ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ შეძლო განახლება და ამას ვერც არჩევნებამდე მოახერხებს?***

– რა თქმა უნდა! პირიქით, ნაციონალური მოძრაობა ხელს უწყობს ბიძინა ივანიშვილის მმართველობის გაგრძელებას. ნაციონალური მოძრაობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ივანიშვილის მავნებლური მმართველობის მოკავშირეა და პარტიის ერთი მცირე ჯგუფის პერსონალურ ინტერესებს ემსახურება.



დღეს საქართველო ურთულეს მდგომარეობაშია, რაც გამოწვეულია ივანიშვილის რეჟიმის უუნარობითა და აშკარა მავნებლობით. ადამიანებმა დაკარგეს ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი. აბსოლუტურად ყველგან არის უპერსპექტივობისა და უიმედობის განცდა. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ივანიშვილის ჯიბის მთავრობა მართავს. ჩვენი მიზანია, მოქალაქეებს გავუჩინოთ პერსპექტივა და იმედი რეალური შესაძლებლობების განვითარებისთვის, დასაქმებისა და უკეთესი ცხოვრებისთვის. ამისთვის საჭიროა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის დასრულება.

***– თუმცა თავად მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის თამაშია ყოველივე ეს, სწორედ მისი გეგმის ნაწილია, რომ თქვენ პარტია ასე ხმაურიანად დატოვეთ. ამაზე რას იტყვით?***

– მე არ გავაკეთებ ამაზე კომენტარს. დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ჩემს განცხადებაში ყველაფერია ნათქვამი საფუძველზე, მიზეზზე, თუ რატომ და რისთვის გავაკეთე. მე მჯერა ამ ქვეყნის მომავლის და ამ მომავლისთვის ვიბრძვი!

***– თქვენ აცხადებთ, რომ ახალ მოძრაობას ქმნით. თუ ხართ უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურაზე, რა სახის პარტია იქნება და ვინ იქნებიან მისი სახეები?***

– ამას ყველაფერს ნახავთ არცთუ ისე შორეულ მომავალში!

***– გაფუჭდება ურთიერთობა თქვენ და სააკაშვილს შორის? ამბობენ, რომ უკრაინაში მისი მარჯვენა ხელი იყავით.***

– არ ვიცი, ვნახოთ. დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

***– თქვენ და გიგა ბოკერიას შორის არსებულმა დაპირისპირებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა თქვენი პარტიიდან წამოსვლის გადაწყვეტილებაში?***

– დიახ. ეს უკვე ყველასთვის ცნობილია პარტიაში. თუმცა არა მარტო ბოკერია, მე დანარჩენების სახელები და გვარებიც დავასახელე.

***– რა შანსები გაქვთ? გაქვთ წარმატების იმედი?***

– აი, ნახავთ, რა კამპანია გვექნება. ზუსტად ეგ არის ჩემი ამოცანა. აქამდეც ბევრი რამ გამიკეთებია. ამისი ძალიან ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ დავაჯერეთ, გავაკეთეთ. იუსტიციის სახლების პრეზენტაცია პირველად რომ გავაკეთე, ბევრი ადამიანი ამბობდა, სულ გაგიჟდაო, რაღაცა სისულელეებს იგონებს, ვერაფერს გააკეთებსო, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამას აუცილებლად გავაკეთებ! დამერწმუნეთ! ათიათასობით ადამიანთან ერთად.

***– ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თქვენ გვერდით დადგებიან?***

– არ ვაპირებ ახლა სახელებისა და გვარების დასახელებას. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ საერთოდ ახალი პოლიტიკური ჯგუფი უნდა გამოჩნდეს ქართულ პოლიტიკაში და ეს არის ჩემი მიზანი. დღეს სახელებისა და გვარების დასახელებას არ ვაპირებ, ამას ყველა ძალიან მალე ნახავთ! აქვე დავამატებ, რომ ეს არ იქნება კულუარული მოლაპარაკება ვიღაცასთან, რომ შენ ჩემს პარტიაში წამოდი და ასე შემდეგ. ეს იქნება საჯარო პროცესი, განსხვავებული პროცესი, ვიდრე არის სხვა ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიასა თუ მოძრაობაში.

# ფიქრია ჩიხრაძე: „მარგველაშვილსა და კვირიკაშვილს შორის კომუნიკაციის პრობლემა არ არსებობს“

## პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინტერპარტიული ჯგუფი შეიკრიბა

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გუშინ, 5 მაისს, ინტერპარტიული ჯგუფი შეიკრიბა საარჩევნო კანონმდებლობისა და საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით.

არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციას საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი გააცნო. ოპოზიციის ლიდერების განცხადებით, ე.წ. გერმანული მოდელი არ საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებას და მისი მიღება პარლამენტს წევრთა უბრალო უმრავლესობას შეუძლია.

შეხვედრას არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად არ დასწრებია ეროვნული ფორუმი, რომელიც შეხვედრაზე მოწვეული იყო.

საარჩევნო კოდექსში ე.წ. გერმანულ მოდელთან დაკავშირებით შესაძლოა მომავალ კვირას პარლამენტში ახალი ინიციატივა შევიდეს. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული საკითხის ინიცირება ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინოს.


**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83


პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეხვედრაზე განხილვის საგანი ასევე იყო წინასაარჩევნო კამპანიის თარიღის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.



პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილსა და პრემიერ კვირიკაშვილს შორის შეხვედრისა და კონსულტაციის პრობლემა არ არსებობს.

– ჯერ კონსულტაციები პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არ დაწყებულა, თუმცა, შემიძლია აქვე გითხრათ, რომ დღევანდელ დღემდე საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ, ამას ცხადად გიდასტურებთ. ეს საკითხი ამ ორი თანამდებობის პირის პრეროგატივაა. კონსულტაციები ამ თემაზე გაიმართება, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძე.

მან გამორიცხა, რომ ამ თემაზე პოლიტიკური კრიზისის რაიმე ნიშანი შეიძლება არსებობდეს.

– ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო თემა და ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმში გადაწყდება. მნიშვნელოვანია, დროულად იცოდეს თარიღი პოლიტიკურმა სპექტრმა. მნიშვნელოვანია ორი რამ – ერთი, რომ ვიცოდეთ არჩევნების თარიღი და მეორე, დროულად ჩამოყალიბდეს საარჩევნო წესები, – აღნიშნა პრეზიდენტის მრჩეველმა.

ოპოზიციურ პარტიებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი მხარს არ უჭერს რომელიმე კონკრეტულ მოდელს.

– საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია საარჩევნო სისტემის ერთ რომელიმე კონკრეტულ მოდელს მხარს არ უჭერს. აღნიშნული შეხვედრის კონკრეტული შედეგი მას შემდეგ დადგება, თუ ეს ყველაფერი საკანონმდებლო ცვლილების სახეს მიიღებს და პარლამენტში შევა, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

თავად შეხვედრას მან ძალიან საინტერესო უწოდა.

– სწორედ ამ თვალსაზრისით ჩვენ მხარს ვუჭერთ შეთანხმებას, რომ პოლიტიკური ძალები მაქსიმალურად ჩამოყალიბდნენ ერთნაირად მისაღებ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო წესებზე, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

მისი თქმით, თუ პოლიტიკური სპექტრი ჩამოყალიბდება იმაზე, რომ ე.წ. გერმანული მოდელია პოლიტიკური სპექტრისთვის მისაღები, ადმინისტრაცია ჩაერთვება მოლაპარაკებებში.

– აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია „ქართულ ოცნებასთან“ კონსულტაციისთვის მზად არის, – დასძინა ჩიხრაძემ.

* * *

შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან ისაუბრეს.

თავისუფალი დემოკრატი ირაკლი ჩიქოვანი ამბობს, რომ გერმანული მოდელი უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემის სამართლიანად შეცვლას.

– არსებული საკონსტიტუციო ჩარჩოების პირობებში შესაძლებელია გარკვეული სახეცვლილებები მოხდეს ანუ გადავიდეს სისტემა გერმანულ მოდელზე, – განაცხადა მან.

ის მიესალმება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომ ადრე გამოაცხადოს საარჩევნო თარიღი.

– ეს არის კარგი პრაქტიკა და ტრადიცია, რომელიც ახალმა პრეზიდენტმა დააწესა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, ასევე საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაშიც. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება არ



ირაკლი ჩიქოვანი

გამოხატავს მზადყოფნას იმისათვის, რომ აამოქმედოს საარჩევნო რეგულაციები, ვინაიდან მათ აქვთ დიდი მოტივაცია და სურვილი, გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი. სხვა ვერაფრით ვხსნით ამ გადაწყვეტილებას, – აღნიშნა ირაკლი ჩიქოვანმა.

**მამუკა კაციტაძე, ახალი მემარჯვენეების თავმჯდომარე:**

– საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით არასაპარლამენტო ოპოზიციას უკვე აქვს წარმოდგენილი გერმანული მოდელი, როგორც სარეზერვო ვარიანტი. თუკი საკონსტიტუციო ცვლილება ჩავარდება ან მისი მიღება დროში გაიწელება, მაშინ ჩვენ გავხდებით მოწმე ახალი ინიციატივისა, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება ე.წ. გერმანული მოდელის დანერგვის ვარიანტის დასამკვიდრებლად. მე მაქვს საპარლამენტო ფრაქციების დიდი მხარდაჭერის იმედი და მომავალი კვირიდან შესაძლოა პარლამენტში ახალი ინიციატივის მომსწრეც გავხდეთ.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაცმოძრაობას მინაშვილი, კანდელაკი და თაქთაქიშვილიც დატოვებენ“

## მიხეილ მაჭავარიანი: „ჩვენ ერთი თვის წინ ვიცოდით, ვაშაძე წასვლას რომ აპირებდა“

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ ნაცმოძრაობას ასლან აბაშიძის ჩამოგდების 12 წლის აღნიშვნა ჩაუშხამა. გუშინ, 5 მაისს, მან პარტია დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, მას კიდევ რამდენიმე დეპუტატი მიჰყვება. ლევან ბერძენიშვილის მტკიცებით, პარტიას აკაკი მინაშვილი და გიორგი კანდელაკიც დატოვებენ.

ხმები პარტიიდან გიორგი ვაშაძის წასვლის შესახებ არაერთხელ გავრცელდა. ამის შესახებ „ახალი თაობაც“ წერდა. მაშინ ნაციონალებმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს და ლამის დეზინფორმაციის გავრცელებაშიც კი დაგვადანაშაულეს. ვაშაძის დემარშის შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით აძლევდნენ მედიას აღიარებით ჩვენებებს იმის შესახებ, რომ ვაშაძემ რამდენჯერმე დააპირა პარტიიდან წასვლა.

მათ შორის პირველი განხეთქილება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ მოხდა. გიორგი ვაშაძემ მაშინ თბილისის მერის პოსტზე გამოთქვა კენჭისყრის სურვილი. ნაცმოძრაობამ მაშინ რატომღაც ნიკა მელია აირჩია. ეს დეპუტატს ძალიან ეწყინა, მაგრამ მაშინ მისი დაშოშმინება მოხერხდა.

მორიგი სერიოზული უთანხმოება მათ შორის გასულ წელს მოხდა. შარშან პარტია 4-მა ლიდერმა დატოვა. საუბარია ხაჩიძის, მელაძის, კუბლაშვილისა და ჯაფარიძის კვარტეტზე. ამ უკანასკნელს პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი ეკავა. ნაცმოძრაობამ ახალი მდივნის არჩევა გადაწყვიტა. ვაშაძემ ამ თანამდებობის დაკავების სურვილიც გამოთქვა. მის გარდა, ეს სურვილი სერგო რატიანსაც გაუჩნდა.

ნაციონალებმა ამ პრობლემის მოგვარება არჩევნების გზით გადაწყვიტეს. არჩევანი სერგო რატიანის სასარგებლოდ გაკეთდა. ვაშაძემ გამარჯვებულს საჯაროდ კი მიულოცა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ძალიან გაბრაზებული იყო და ძლივს გადააფიქრებინეს პარტიიდან წასვლა.

ყოფილი ხელისუფლების წევრები ახლა უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ გიორგი ვაშაძე მათ ერთგვარ ულტიმატუმებს უყენებდა და საკუთარ თავს უალტერნატივოდ მიიჩნევდა. ნაციონალების თქმით, ბოლო ჩხუბი ვაშაძესთან საარჩევნო სიის ფორმირების გამო მოუვიდათ.

საარჩევნო სიის ფორმირებაზე ნაცმოძრაობაში რომ დიდი ამბებია. ამის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა. პარტიაში გადაწყვიტეს, რომ სიის







პირველი ათეული ახალი სახეებით იქნებოდა დაკომპლექტებული. ძველი სახეებიდან იქ მხოლოდ დავით ბაქრაძე დატოვეს. სიის ათეულში მოხვდა ძველი, მაგრამ მივიწყებული სახე, რომან გოცირიძე, რამაც ნაციონალების დიდი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მიშა მაჭავარიანი ახლა უკვე ღიად საუბრობს იმის შესახებ, რომ ვაშაძე მათ ულტიმატუმებს უყენებდა.

— ვაშაძის მოთხოვნა იყო ბოლო წვეთი. იგივე ამბიცია ჰქონდა მას თბილისის მერობის კანდიდატობაზეც. მას უნდოდა უალტერნატივობა. არ ეთანხმებოდა პრაიმერიზს და გაერიდა ამ პროცესს. არ მინდა ამ კაცსა და ამ თემაზე საუბარი, — ამბობს მაჭავარიანი.

მისივე თქმით, ვაშაძეს ამბიციებმა სძლია და ნაცმოძრაობა სიის ათეულში ვერმოხვედრის გამო დატოვა.

გამოსამშვიდობებელ განცხადებაში ვაშაძემ აღნიშნა, რომ მას პარტიულ სიაში ადგილი გარანტირებული ჰქონდა, რასაც აწ უკვე მისი ყოფილი თანამოაზრეები არ ადასტურებენ.

— არანაირი გარანტირებული ადგილი გიორგი ვაშაძეს სიაში არ ჰქონდა (რაზეც ვითომ უარი თქვა), ადგილისთვის იბრძოდა და ამიტომაც წავიდა, — აცხადებს დეპუტატი ირმა ნადირაშვილი.

გარანტიების არარსებობაზე საუბრობს მაჭავარიანიც.

— მიმდინარეობს სიის ფორმირება, სადაც არც მაჭავარიანს, არც ვაშაძესა და არც ვინმე სხვას არანაირი გარანტიები არ ჰქონიათ, — ამბობს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი განცხადებით, ვაშაძე პარტიის დატოვებას კარგა ხანია აპირებდა. მისი განზრახვის შესახებ ნაცმოძრაობამ რამდენიმე კვირის წინ შეიტყო.

— ჩვენ ვიცოდით მისი ამ გადაწყვეტილების შესახებ. სხვათა შორის, მისი მეგობრები ურჩევდნენ, არ გაეკეთებინა ეს განცხადება, — აღნიშნავს მაჭავარიანი.

ამ საკითხზე საგანგებო განცხადება გააკეთა პარტიამაც, სადაც ვაშაძის საპირველათეულო ვნებებზეა საუბარი.

— პარტიის პოლიტსაბჭოზე ჩვენ დავამტკიცეთ საპარლამენტო სიის ფორმირების პრინციპები. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია განახლების პრინციპი. ამის გამო ფრაქციისა და პარტიის ლიდერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მზადყოფნა გამოთქვა, სიის სათავეში ადგილი საზოგადოებისთვის ცნობილ ფიგურებს დაუთმონ, რომელთა როლი გადამწყვეტი უნდა იყოს ივანიშვილის რეჟიმთან ბრძოლასა და გამარჯვების შემდგომ ქვეყნის რეფორმირებაში.

ამ ფონზე, გიორგი ვაშაძის ან ნებისმიერის სურვილი, აუცილებლად წარმოდგენილი იყოს საპარლამენტო სიის ათეულში, გაზიარებულ არ იქნა. ათეულში ვერმოხვედრის გამო განაწყენება და წასვლა არასერიოზული და უპასუხისმგებლო საქციელია, — მიაჩნიათ პარტიაში.

პარტიის რეგიონული მდივანი ნუგზარ წიკლაური ვარაუდობს, რომ მათი ყოფილი თანაპარტიელი ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

— ეს გადაწყვეტილება არის გამიზნული ქმედება მიშა სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის პოლიტიკურ ინტერესს, — აღნიშნავს წიკლაური.

ვაშაძის გადაწყვეტილებას ივანიშვილთან აკავშირებს ნაცმოძრაობის მამა მიხეილ სააკაშვილიც.

მისი თქმით, გუშინდელი გადაწყვეტილება ხალხის დაბნევას ისახავს მიზნად.



— მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის ცალკეული წევრების დროდადრო ხმაურიანი გასვლა თავიდან ბოლომდე ოლიგარქ ივანიშვილის თამაშია. ეს სხვა არაფერია, თუ არა მანევრები ყურადღების გადასატანად და დაბნეულობის შესატანად ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებში. ივანიშვილი დარწმუნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ვერც განადგურება და ვერც ჩამოშლა ვერ შეძლო, ამიტომ ის ფინანსური და სხვა ბერკეტების გამოყენებით, ცალკე აღებული პიროვნებების გამოყოფითა და მათთვის ახალ-ახალი მოძრაობების დაფინანსებით მთავარი ოპოზიციური ცენტრის ნიველირებას ცდილობს, — აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

* * *

გუშინდელი ამბავი „ქართულ ოცნებაში“ ძალიან ეამათ.

პარლამენტის ვიცესპიკერი ზვიად ძიძიგური ვაშაძის ნაბიჯს სწორ გადაწყვეტილებას უწოდებს. ძიძიგურს ეჭვი უჩნდება, რომ პარტიაში რაღაც კრიზისმა იჩინა თავი.

— ვაშაძე არ იყო ნაციონალური მოძრაობის რიგითი წევრი. ის იყო ერთ-ერთი ახალგაზრდა ლიდერი. მისი მხრიდან ასეთ ტიპის გადაწყვეტილების მიღება, ალბათ, რაღაც ტიპის კრიზისს უკავშირდება პარტიაში. როგორი მმართველობის სტილი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მე ძალიან კარგად ვიცი. ეს არც კაბინეტური მმართველობაა. ეს არის ერთკაციანი მმართველობა. ეს ერთი კაცი არის მიხეილ სააკაშვილი, ახლა ზის ოდესაში, არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ დედიმისის შვილია და ვინმემ ნაცმოძრაობაში რამე გაბედოს მისი სიტყვის გარეშე. თუ ბატონმა ვაშაძემ მოინდომა, რომ ასეთი ტიპის მმართველობას გაერიდოს, ეს არის მისი უფლება და, მე ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაა, — განაცხადა ძიძიგურმა.

რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ გიორგი ვაშაძის შემდეგ პარტიას ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი და აკაკი მინაშვილი დატოვებენ.

— ამ დაპირისპირების შესახებ ადრეც იყო ცნობილი საზოგადოებისთვის. რომ გითხრათ, ღამე არ მძინავს მაგის გამო-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ ბატონი ვაშაძე არის ერთ-ერთი ან შეიძლება ერთადერთი იმ წრიდან, საიდანაც არის, რომელსაც საქმე აქვს გაკეთებული. ის საქმე დღესაც ცოცხალია, ამიტომ ჩვენ ყურადღებით შევხედავთ იმას, სად წავა, რას გააკეთებს და როგორ იზამს. მე ვფიქრობ, რომ იგი მარტო არ არის — თუ ოდესის ხაზია, ნამდვილად ვიცი, რომ ქალბატონი ჩიორა, ბატონი კანდელაკი, შესაძლოა ბატონი მინაშვილი და შესაძლოა ვინმე სხვაც აღმოჩნდეს ამ შემადგენლობაში, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

ნაცმოძრაობიდან რამდენიმე ლიდერის წასვლას აანონსებს უფლებადამცველი ნიკა მემანიშვილიც. მართალია, ის გვარებს არ ასახელებს, მაგრამ გვარწმუნებს, რომ ამის მომსწრენი მალე გავხდებით.

ვაშაძის წასვლას გირჩებიც გამოეხმაურნენ. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე გიორგი ვაშაძე მათთან ერთად უნდა წასულიყო პარტიიდან, მაგრამ მაშინ ის რაღაცნაირად დაიყოლიეს.

გირჩთა ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე დარწმუნებულია, რომ ვაშაძის წასვლა „ქართული ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს.

— საბოლოო ჯამში, შეიძლება ეს მომგებიანი იყოს მმართველი გუნდისთვის, როდესაც ძლიერი ოპოზიციური გუნდიდან ადამიანები მიდიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის ვიღაცის დადგმული თამაში. მე მაქვს ასეთი ნაბიჯი გადადგმული, არ ველოდი, ვაშაძე თუ ამ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც ზღვრამდე მივიდა, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისი თანამებრძოლი გოგა ხაჩიძე კი იმით არის კმაყოფილი, რომ ვაშაძემ იგივე გაიმეორა, რაზეც ისინი ერთი წლის წინ ლაღადებდნენ.

— ჩემთვის ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გიორგი ვაშაძემ გაიმეორა ის, რა განცხადებაც ერთი წლის წინ გირჩმა გააკეთა. განახლება, ახალი ადამიანები პრობლემაა. ეს იწვევს თავის შედეგებს და ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ვაშაძემ დატოვა პარტია, — განაცხადა ხაჩიძემ.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ გირჩის წევრებისა და გიორგი ვაშაძის მიერ პარტიის ერთი და იმავე მიზეზებით დატოვება ნიშნავს, რომ პარტიაში მთავარი პრობლემა განახლებაა.

— ჯობია, ნაციონალურმა მოძრაობამ მესიჯ-ბოქსი შეცვალოს. ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ივანიშვილის ინტერესებს ემსახურება და ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ რაღაცას ემსახურება — ეს მესიჯი შესაცვლელია, ცოტა უფრო ლოგიკური განცხადებები უნდა გააკეთონ. თუ არ უნდათ, რომ ივანიშვილის ინტერესებს ემსახურონ, ნება იბოძონ, გახსნან პარტიის კარი და განაახლონ პარტია, თუ არადა, ისხდნენ მაშინ და იყვნენ, გაგრძელება არ უნდათ? მე მინდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ბოლოში to be continued მიეწეროს, მაგრამ არ აწერენ და...

ჩვენ ამას ვითხოვდით მაშინ, როცა პარტიაში ვიყავით. პრაიმერიზის დროს მთელი წელი ვითხოვდით, რომ პარტია უნდა განახლებულიყო. ვანო მერაბიშვილის გამოსვლის მთავარი მესიჯი 19 აპრილს ის იყო, რომ პარტია განახლდება, მაგრამ არ ანახლებენ, — აღნიშნა დეპუტატმა.

ამასთან, ხაჩიძე ამბობს, რომ ვაშაძის წასვლა პარტიას არ დაშლის, რადგან ნაცმოძრაობაში გამოცდილი ხალხია და ისინი პრობლემებს თავს გაართმევენ.

* * *

ეს არ არის პირველი შემთხვევა როცა საარჩევნო სიის ფორმირების გამო ნაცმოძრაობაში დიდი სკანდალი ხდება.

ასეთი სკანდალის მომსწრენი გავხდით 2008 წელსაც, როცა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე სიის პირველმა ნომერმა ნინო ბურჯანაძემ პარტია დატოვა და სიიდანაც ამოიშალა თავი.

# სააკაშვილის გუნდს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა

მარიამ მჭედლიშვილი

სააკაშვილის გუნდის საქმიანობაში ახალი დაბრკოლება გაჩნდა. თანამდებობიდან გაუშვეს მისი თანაგუნდელი, ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრ ბოროვიკი. ეს მოხდა ახალი კანონის საფუძველზე. ამ კანონით, სახელმწიფო მოხელეს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა მოქალაქეობა, უკრაინის გარდა. ბოროვიკი, უკრაინის გარდა, ევროკავშირის მოქალაქეა.

ორმაგ მოქალაქეობას უკრაინის კონსტიტუციაც კრძალავს, თუმცა, ამ ნორმის დარღვევა არანაირ სასჯელს არ ითვალისწინებდა.

ბოროვიკი ჯერჯერობით ოდესიდან არ მიდის და რჩება სააკაშვილის შტატგარეშე მრჩევლად ინვესტიციების საკითხებში. ის ასევე ოდესის თვითმმართველობის — ქალაქის საბჭოს დეპუტატია.

გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე ბოროვიკმა გააპროტესტა დაბალი ხელფასები, რომლებიც უკრაინაში ჩინოსნებს აქვთ და განაცხადა, რომ ამ სფეროში შემუშავებული სააკაშვილის გუნდის ინიციატივები კიევმა ბევრჯერ დაბლოკა.

— იმის მაგივრად, რომ ჩვენი ინიციატივებისთვის მხარი დაეჭირა, პრეზიდენტ პოროშენკოს ადმინისტრაცია ავრცელებდა ხმებს იმის შესახებ, თითქოს სააკაშვილსა და მის გუნდს გაათავისუფლებენ, — აღნიშნა ბოროვიკმა.

ის არ გამორიცხავს, რომ უკრაინასაც დატოვებს. ეს მოხდება კონტრრევოლუციური დინამიკის შემთხვევაში.

— თუ პროკურატურა და უშიშროების სამსახური



იმუშავებენ არა ჩვენთან ერთად, არამედ ჩვენ წინააღმდეგ, მხოლოდ მე ვერაფერს შევცვლი. თუ დავინახავ კონტრრევოლუციურ დინამიკას, წავალ უკრაინიდან, — ამბობს სააკაშვილის შტატგარეშე მრჩეველი.

მისი თქმით, სანამ ოდესაშია, იბრძოლებს ოდესის მერის წინააღმდეგ:

— ოდესაში ხალხს ისევ გენადი ტრუხანოვი ხელმძღვანელობს. არის მისი მოხსნის ამოცანა. ტრუხანოვი ყოფილი რეგიონალი, სეპარატისტი და ოფშორების მფლობელია. სანამ ისაა მმართველობაში, ქალაქში რაიმეს შეცვლა შეუძლებელია.

ოდესაში ისევ არაა სტაბილურობა. სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ ანონიმური ზარის საქმეს. დაუდგენელმა პირმა განაცხადა, რომ დანაღმულია ხიდი ბელკოვსკის ქუჩაზე. მანამდე იყო ზარი სარკინიგზო ხიდის დანაღმვაზე, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნაციონალებმა ორ წელიწადში 20.690 ხე მოჭრეს

## მინდა ნაცმოძრაობას ვკითხო, ხომ არ იციან, სად გაქრა ბოტანიკური ბაღის ძველი სადგურები? ნაცებმა ის 2009 წელს გაყიდეს

გულიკო ბალაძე

მწვანეთა პარტიის ლიდერი და პარლამენტის წევრი გიორგი გაჩეჩილაძე ნაცმოძრაობასა და რიგ არასამთავრობოებს უპირისპირდება.

მისი განცხადებით, იმ 29,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამო პროტესტი ნაცპიარის ნაწილია.

გიორგი გაჩეჩილაძე ნაციონალების დროს თბილისში ხეების კოლოსალური რაოდენობის უკონტროლო ჭრაზე საუბრობს.

მისი განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის 2013 წლის დასკვნით, რომელიც ეხება 2009-2011 წლებში თბილისის გამწვანების მდგომარეობას, თბილისის მერიამ გასცა 20.690 ხის მოჭრის ნებართვა.

ნაცმოძრაობა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციებს მართავენ 29,8 ჰექტარ მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით და აცხადებენ, რომ ამით ბოტანიკური ბაღი ზარალდება.

გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ 29,8 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, რომელზეც საპროტესტო აქციები იმართება, არავითარი საერთო არ აქვს ბოტანიკურ ბაღთან. ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული პროტესტი კი ნაცმოძრაობის მიერ გაბერილი ბუშტია, რაც ნაცების პიარს ემსახურება.

– ნაცმოძრაობის მთელი პოლიტიკური პიარის ნაწილია, ძირითადად, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტთან ბრძოლა. ეს შურისძიების აქტიც არის, რადგან ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალები ჩამოყარა ხელისუფლებიდან.

ბოტანიკური ბაღის ამბავი, როგორც სამი ხის გადარგვის გამო აჟიოტაჟი, ბუშტებია, რომელსაც დღეს ნაცმოძრაობა ბერავს, შემდეგ კი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

მისი შეფასებით, სამ ხესთან დაკავშირებით უნიკალური ოპერაცია ჩატარდა, რაც ცივილიზებულ ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია. ხეს არავინ ჭრის, ხეების გადარგვა ხდება. იმ ადგილზე გადაიტანეს, სადაც კეთდება უნიკალური დენდროლოგიური პარკი. პარკის გარდა, კეთდება უზარმაზარი, რეგიონული მასშტაბის საკონცერტო დარბაზი, სადაც დასაქმდება აჭარის მოსახლეობა. კეთდება უნიკალური რეკრეაციული ზონა, რაც მწვანეთა პარტიას ყველაზე მეტად აინტერესებს. არა მარტო ის ხეები იქნება, არამედ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოტანილი სხვადასხვა ჯიშის ხეებიც იქნება. გაკეთდება უნიკალური რეკრეაციული და ბუნებრივი ტურისტული გარემო, რომელიც შემოსავალსაც მოიტანს და ადამიანების დასვენებისა და დასაქმების საშუალებაც იქნება.



***– ბატონო გიორგი, ბოლო დროს ბუნების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და ურბანისტები პროტესტს გამოთქვამენ ბოტანიკურ ბაღთან მდებარე მიწის ნაკვეთის გასხვისების გამო და მას ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს უკავშირებენ. როგორც მწვანეთა პარტიის ლიდერმა და პარლამენტის წევრმა, რა შეგიძლიათ თქვათ?***

– ამგვარ საკითხებს ნაცმოძრაობა აზვიადებს და თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი არავითარ კავშირში არ არის ბოტანიკურ ბაღთან. ეს ყველამ იცის, მაგრამ ჩვენი საინფორმაციო სივრცე ისეა მოწყობილი, მაინცდამაინც ბოტანიკურ ბაღთან აიგივებენ იმისათვის, რომ ხალხი გააღიზიანონ, თითქოს ბოტანიკური ბაღის ნაწილის შესყიდვა ხდება.

***– არ ხდება?***

– არა. ამ მიწის ნაკვეთს არავითარი კავშირი არ აქვს ბოტანიკურ ბაღთან. არსებობს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ხსენებული 29,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მიმართ ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონა გადაკეთდა რეკრეაციულ ზონა-2-ად, სადაც გარკვეული შეზღუდვები დაიშვა მშენებლობებზე, მაგრამ მშენებლობა მაინც დაიშვა.

***– მაშინ, რატომ გამოთქვამს ნაცმოძრაობა პროტესტს?***

– მათ პოლიტიკური ინტერესი აქვთ. ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს დებატებში ვკითხე, ნაცმოძრაობამ რატომ დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას-მეთქი.

ნაცმოძრაობის მთელი პოლიტიკური პიარის ნაწილია, ძირითადად, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტთან ბრძოლა. ეს შურისძიების აქტიცაა, რადგან ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალები ჩამოყარა ხელისუფლებიდან. გარდა ამისა, არის წმინდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი.

***– რას გულისხმობთ?***

– ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლა დღეს დაკავშირებულია სახელმწიფოში არასტაბილურობის შექმნასთან. ეს არის ძირითადი ასპექტი.

***– რატომ არ დაუჭირეს მხარი ნაციონალებმა ევროპარლამენტში საქართველოს ევროპასთან ასოცირებასა და ვიზალიბერალიზაციას?***

– გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, ნაცმოძრაობამ და მისმა დეპუტატებმა (ევროპარლამენტში) არასახელმწიფოებრივი ქმედებები გამოავლინეს. ეს გამოჩნდა ევროპარლამენტში, როცა მათ მხარი არ დაუჭირეს საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას.

***– რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ ნაციონალებს ქვეყანაში არასტაბილურობის შექმნა სურთ?***

– ნაცებს რომ არასტაბილურობის შექმნა სურთ, ამას ბევრი რამ გვიჩვენებს. ამაში დავრწმუნდი ბრიუსელში ყოფნისას. ერთი კვირის წინ ევროპასთან ასოცირების საკითხზე გამართულ კომიტეტის სხდომაზე (მე დელეგაციის წევრი გახლდით) ნაციონალურმა მოძრაობამ მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას ევროპარლამენტში ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზალიბერალიზაციაზე.

***– კანდელაკმა რომ უარყო?***

– რა უარყო? მე იქ ვიყავი და კარგად დავინახე, რომ მათ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. ნაცმოძრაობიდან ორი კაცი იყო და მხარი არ დაუჭირეს. რასაც ეუბნები, ყველაფერზე იძახიან, ტყუილია, ტყუილიაო. ამ დროს თვითონ იტყუებიან. არსებობს კადრები და კენჭისყრის შედეგები.

მწვანეთა პარტიის ლიდერი არასამთავრობოების გააქტიურებას დადებით მომენტად მიიჩნევს, თუმცა, მისი თქმით, არასამთავრობოების აზრს ხელისუფლება ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს.

***– არასამთავრობოების პროტესტზე რას იტყვით?***

– არასამთავრობოების მესმის. ძალიან კარგია, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორი გააქტიურებულია. არასამთავრობოებისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმი. საქართველოში კი არა, მსოფლიოში ასეა, ოღონდ, ხელისუფლებას თავისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აქვს, ამიტომ არასამთავრობოების აზრს ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს. თუმცა ის არასამთავრობოები, რომლებიც ახლა აქტიურობენ, არ მახსოვს ნაცმოძრაობის ხელისუფლების პერიოდში.

2013 წელს გამოქვეყნდა ოფიციალური სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო აუდიტის დასკვნა თბილისის გამწვანებასთან დაკავშირებით. დასკვნა ეხება 2009-2011 წლებში თბილისის გამწვანების მდგომარეობას.

ამ ორი წლის განმავლობაში თბილისის მერიამ 20.690 ხის მოჭრაზე გასცა ნებართვა. ამას კიდევ ზედმეტი რამდენი მიაყოლეს, კაცმა არ იცის. არ მახსოვს, მათ ამასთან დაკავშირებით ხმა ამოეღოთ.

ნაციონალებმა მთელ სკვერებსა და პატარა ბაღებში ხეები ამოჩეხეს და პოლიციისა და გამგეობის შენობები ჩადგეს. არც მაშინ გამოუთქვამთ პროტესტი.

როდესაც ვაკის პარკის გადარჩენისთვის ვიბრძოდით, მათ ხმა არ ამოუღიათ. ვაკის პარკის ტერიტორია 47 ჰექტარი იყო და 19 ჰექტარამდე დავიდა. მათ არც მაშინ გამოუთქვამთ პროტესტი, როდესაც ნაცმოძრაობამ აბსურდული ქმედება ჩაიდინა საქართველოს ბუნების წინააღმდეგ.

***– რა აბსურდზე საუბრობთ?***

– მათ ჩაიდინეს სისტემური დანაშაული, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრე 2012 წელს და მოვიგე. ეს ეხებოდა „გარემოს დაცვის შესახებ კანონში“ ცვლილებას. მუხლს დაერქვა შეთანხმება გარემოს დაცვის სფეროში. თუ ვინმე წინასწარ ფულს გადაიხდიდა, მას ყველაფრის უფლება ჰქონდა – ტყის გაჩეხვის, წითელ წიგნში შეტანილი ცხოველების დახოცვისა და სხვა. ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებიც გაოგნებული იყვნენ. ერთ-ერთმა ისიც თქვა, ეს ხომ ინდულგენციაა ბუნების მკვლელობაზეო. მინდა მივმართო არასამთავრობოებს, ნუ ჩაებმებიან პოლიტიკურ პროცესებში. ბევრი მათგანი ძალიან მომწონს, მაგრამ ეს არის წმინდა პოლიტიკური პიარის საკითხი. ნუ მისცემენ ნაცმოძრაობას გარემოს მიმართ მათ მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულის გაპრავების საშუალებას.

გიორგი გაჩეჩილაძე ნაციონალებს ეკითხება, სად გაქრა ბოტანიკური ბაღის ძველი სადგურები, მცენარეთა საკოლექციო სადგურები და რატომ წაართვეს ბათუმის ბოტანიკურ ბაღს საცდელი მეურნეობა.

– ბოტანიკურ ბაღს 4 ჰექტარი გამწვანებული ტერიტორია გადასცეს. ამით ბოტანიკური ბაღის ტერიტორია გააფართოვეს. 4 ჰექტარი გახრიოკებულ, გასამწვანებელ ტერიტორიაში გაიცვალა. ზოგიერთი ტელევიზია ბოტანიკური ბაღის გადარჩენის მოწოდებით გამოდის. ბოტანიკური ბაღის გადარჩენაზე კი არა, გაფართოებასა და გამწვანებული ტერიტორიების შემატებაზეა საუბარი.

მინდა ნაცმოძრაობას ვკითხო, ხომ არ იციან, სად გაქრა ბოტანიკური ბაღის ძველი სადგურები? ნაცებმა ის 2009 წელს გაყიდეს. ერთ-ერთი იყო მცენარეთა საკოლექციო სადგური.

სად არის ბათუმის ბოტანიკური ბაღის 500 კვ მ საცდელი მეურნეობა, რომელიც მათ გაყიდეს? ჩვენ აღნიშნული საცდელი მეურნეობა 2014 წელს დავუბრუნეთ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს.

რა გარემოს დაცვაზე ნერვიულობს ახლა ნაცმოძრაობა? ნაცმოძრაობას გარემო ისე აინტერესებს, როგორც მგელს – ცხვრის კეთილდღეობა. მე მგონი, 2016 წლის არჩევნებში მოსახლეობა ნაცმოძრაობის პარპაშს წერტილს დაუსვამს.

# ზურაბ რობაქიძე: „ავადმყოფისთვის ფული არასოდეს გამომირთმევია“

## 85 წლის აკადემიკოსი ღირსების ორდენზე წარადგინეს

გულიკო ბალაძე

წუთისოფლის შარაგზას ყველა თავისებურად გაივლის. ღმერთი ადამიანებს სიკეთესა და სიყვარულს ანათლავს. როცა შენს ცხოვრებას შორეული გადმოსახედიდან გადმოხედავ, უნდა თქვა, თავიდან რომ მქონდეს გასავლელი, ისევ იმ გზას გავივლიდიო. სიყვარულისა და სიკეთის გზით იარა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსმა, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა ზურაბ რობაქიძემ და მთელი თავისი ცხოვრება მედიცინას მიუძღვნა. 6 მაისს ზურაბ რობაქიძეს 85 წელი უსრულდება. გულითადად ვულოცავთ ამ სულიერად და გენეტიკურად ძლიერ პიროვნებას იუბილეს.

ზურაბ რობაქიძე დღესაც, 85 წლის ასაკშიც, მუშაობს. ღვაწლმოსილი ექიმი წარდგენილია ღირსების ორდენზე,

– ჯილდოს ველოდები და ვნახოთ, ვარ თუ არა მისი ღირსი. ჩემი ინსტიტუტი აღარ არსებობს, გაიყიდა. ჯერ ერთმა იყიდა, მერე – მეორემ. ახლა ვმუშაობ იაშვილის კლინიკის ბაზაზე არსებული სისხლის ბანკის დირექტორის, დავით ლოლიაშვილის მრჩევლად. ჯერ კიდევ ჩაბმული ვარ მუშაობაში. ზესტაფონშიც გვაქვს საკონსულტაციო, თვეში ერთხელ ჩავდივარ. დირექტორი ჩემი გაზრდილია და დავაფუძნეთ „კათარზისი“. 150 კაცი უფასოდ სადილობს. მე მოხუცებს საუბრებს ვუტარებ. სანამ „კათარზისი“ ამუშავდებოდა, ზესტაფონის სოფლებში დავდიოდით. ამგვარ აქციებში ზესტაფონის ექიმებიც იყვნენ ჩართული. იქ შეუძლოდ მყოფ ადამიანებს ვსინჯავდით, – გვიყვება თავის ახლანდელ ცხოვრებაზე ზურაბ რობაქიძე.

***– ბატონო ზურაბ, რაც წლები გადის, ადამიანი განსხვავებულად აფასებს თავის ცხოვრებას. ამ გადასახედიდან როგორ აფასებთ თქვენს განვლილ გზას? თქვენი შეფასებები შეიცვალა?***

– მე ოპტიმიზმით სავსე კაცი ვარ.

***– ალბათ, ოპტიმიზმი გეხმარებათ, რომ დღესაც შრომისუნარიანი ბრძანდებით და აქტიურობთ. რაიმეს შეცვლიდით თუ არა, ახლა რომ იწყებდეთ ცხოვრებას?***

– მე ძალიან საინტერესო ცხოვრება განვლე. ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ვიყავი და ასეც გავაგრძელებ.

***– ისევ ექიმი იქნებოდით?***

– რასაკვირველია. მე ისე დავიწყე ექიმობა და ისე ვამთავრებ, რომ ავადმყოფისთვის ფული არ გამომირთმევია. როცა ამას ვამბობ, ყველას უკვირს. ადამიანებს ახლაც ვეხმარები და არა მხოლოდ ჩემი სპეციალობით. მთელი დასავლეთ საქართველო ჩემთან მოდის. არის დღეები, როცა დახმარებისათვის არ მაკითხავენ. მაშინ ცუდად ვარ. ვფიქრობ, რაღაც მოხდა, მაგრამ შემდეგ დამირეკავენ.

***– ახლაც ბევრი გაკითხავთ?***

– დიახ. გუშინ სპეციალურად წავედი სამსახურში, ორ ადამიანს უნდა შევხვედროდი და გავუწიე კონსულტაცია. ერთს ტელეფონით გავუწიე კონსულტაცია, თერჯოლიდან დამირეკეს.

***– კონკრეტულად, რას ეხება კონსულტაცია?***

– ძირითადად ეს ეხება სისხლის დაავადებებს. თითქმის ყველა დაავადების დროს ვეუბნები, რომ უნდა აიღონ სისხლის ანალიზი. ხშირად ცვლილებებია. ავადმყოფების ნაკადი არ მელევა. მხოლოდ ანალიზის პასუხი საკმარისი არ არის, მთელი ისტორიაა საჭირო, ღრმად რომ გავაანალიზო და ავადმყოფობის მიზეზი გავიგო. თუ მიზეზს არ დაადგენ, ისე ავადმყოფის გამოჯანმრთელება ძნელია. ჯერ მიზეზი უნდა აღმოფხვრა.

***– სისხლის დაავადებების ძირითადი მიზეზი რა არის?***



ზურაბ რობაქიძე

– დღევანდელი ცხოვრება. ხალხი კარგად ვერ იკვებება. ჰაერის შემადგენლობაც შეიცვალა. განსაკუთრებით სისხლზე აირეკლება დღევანდელი ცხოვრების პირობები.

***– ზოგადი ტენდენცია როგორია?***

– ანემიები მატულობს, რაც არასრულფასოვანი კვების შედეგია. ანემია იკურნება. სისხლის დაავადების – ლეიკემიის რამდენიმე ფორმის განკურნება ბოლო დროს შესაძლებელი ხდება. დღეისათვის ბავშვების ამ დაავადებისაგან განკურნების მხრივ დიდი მიღწევებია. ბავშვი, რომელიც მოხვდება სტაციონარში და სწორი მკურნალობა ჩაუტარდება, იკურნება და სრულფასოვანი ადამიანი ხდება. ანემია რკინის დეფიციტია. არის რკინადეფიციტური ანემია.

***– რკინადეფიციტური ანემია. ალბათ, თავის მხრივ, დაავადებებს იწვევს.***

– რასაკვირველია. შეიძლება ადამიანი მოხვდეს კარდიოლოგიურ განყოფილებაში, რადგან მას აქვს გულის ფრიალი, სუნთქვა უძნელდება. კარდიოლოგები იწყებენ გულზე მკურნალობას. რატომღაც სისხლზე არ ამოწმებენ. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია სისხლნაკლულობით. სისხლნაკლულობა ძალიან ბევრ დაავადებას ასტიმულირებს.

***– ბატონო ზურაბ, თქვენს ოჯახს დააკლდა თქვენი მეუღლე, ქალბატონი გულიკო სალარიძე, ასევე ექიმი და ბრწყინვალე ადამიანი. ალბათ, ძალიან განიცადეთ.***

– რასაკვირველია. მე და ჩემი მეუღლე სიყვარულით შევუღლდით. ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი და დავქორწინდით. შევქმენით კარგი ოჯახი, შეგვეძინა შვილები. ოჯახურ ტვირთს ორივე ერთნაირად ვინაწილებდით. ნამდვილად ჰარმონიული ოჯახი გვქონდა. ერთმანეთს ვამხნევებდით. ჩემი მეუღლის გარდაცვალება ჩვენი ოჯახისათვის ძალიან დიდი ტრავმა იყო. მეგონა, სამყარო დაინგრა, თუმცა, არ დავცემულვარ. ვიცოდი, ჩემს მეუღლეს გაუხარდებოდა, თუ ისევ ფეხზე ვიდგებოდი და შვილებს, შვილიშვილებს მივხედავდი. ასეც ვიქცევი. ასე მგონია, გულიკო იქიდან მეხმარება. როცა სადმე მივდივარ, მის სურათთან ვანთებ სანთელს და ვეუბნები, გულიკო, შენ გაბარებ ოჯახს-მეთქი. ის ამას აკეთებს, იქიდან მეხმარება და მამხნევებს.

არ მაქვს უფლება, მოვდუნდე, პესიმიზმში ჩავვარდე. თუ არ იბრძოლე, ცხოვრება გაგთელავს. ცხოვრებას სალი თვალებით უნდა უყურო. მოწყენილი არავინ უნდა მნახოს. შეიძლება გულში ნაღველი მქონდეს, მაგრამ ჩემს დარდს სხვას ვერ გადავცემ. მე ყოველთვის მოღიმარი ადამიანი ვარ.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.

გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 136 500 მ$^3$).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯვარის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

18 303 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 830,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

9 352 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 6 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურთას და ჯუმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჯუმის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ოთხივე უბანზე ერთად) - 107 100 მ$^3$).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურთას და ჯუმის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

14 361 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 436,1 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

7 381 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 6 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს, პოტენციურ „ზესტაფონი 3“ ჰესის არეალში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბურღილი) შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

118 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

11,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

294 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 6 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# მოფარიკავეთა გუნდური ვერცხლი ევროპის ჩემპიონატზე



პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საქართველოს 23-წლამდელ ხმლით მოფარიკავეთა ნაკრების წევრებმა ევროპის ვიცეჩემპიონების ტიტული მოიპოვეს.

ახალგაზრდა ქართველმა მოფარიკავეებმა გუნდური შეჯიბრების ფინალში იასპარეზეს, სადაც რუსეთის ნაკრებთან დამარცხდნენ 38:45.

ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატს ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი მასპინძლობდა. ფინალში გასვლამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა ნახევარფინალში ბელარუსს სძლიეს.

45:42, მანამდე კი უკრაინა – 45:38, ჩემპიონატის ფავორიტი, პირველ ნომრად განთესილი იტალია კი 45:42 დაამარცხეს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ჩათვლაში ჩემპიონობა სანდრო ბაზაძემ მოიპოვა.

# ოლიმპიური ლიცენზიების შევსებას დღეიდან ბერძენ-რომაელები შეეცდებიან



ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამი თვე რჩება, თუმცა ოლიმპიელთა ვინაობა ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. სალიცენზიო ტურნირების ციკლს ივლისის პირველ ნახევარში მძლეოსნები დაასრულებენ და სწორედ ამის შემდეგ გვეცოდინება, რამდენი სპორტსმენით წარდგება საქართველო რიო დე ჟანეიროში.

დამოუკიდებლობის წლებში ყველაზე მეტი ოლიმპიელი გვყავდა 1996 წელს ატლანტასა და 2000 წელს სიდნეიში (36-36), ყველაზე ნაკლები – 2004 წელს ათენში (33).

დღევანდელი მდგომარეობით, ოფიციალურად დადასტურებულია, რომ ჩვენ გვყავს 31 ოლიმპიელი. ისინი წარმოადგენენ სპორტის 11 სახეობას: ძიუდო (7 სპორტსმენი), თავისუფალი ჭიდაობა (6), ძალოსნობა (4), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (3), მშვილდოსნობა (3), ტყვიის სროლა (2), ცურვა (2), მძლეოსნობა (1), ბატუტზე ხტომა (1), მხატვრული ტანვარჯიში (1), ფარიკაობა (1).

დარჩენილია რამდენიმე სალიცენზიო ტურნირი, იმედი გვაქვს, რომ ოლიმპიელთა რიგები კიდევ შეივსება. დღეიდან 8 მაისის ჩათვლით სტამბოლში გაიმართება მოჭიდავეთა ბოლო საკვალიფიკაციო შეჯიბრება. ქართველ ბერძენ-რომაელთაგან რიოს საგზურისთვის იბრძოლებენ 59, 85 და 130 კგ კატეგორიის ფალავნები.

აქედან გამომდინარე, სტამბოლშიც სამი ფალავანი წავიდა: ევროპის ჩემპიონი, ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტი რევაზ ლაშხი (59), ევროპის წლევანდელი ვიცეჩემპიონი რობერტ კობლიაშვილი (85) და 23 წლამდე ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული იაკობ ქაჯაია (130).

სტამბოლში მსოფლიოს სალიცენზიო ტურნირია და იქ არაევროპელებიც იჭიდავებენ, წონაში კი მხოლოდ 2 საგზური გაიცემა. ანუ, ლიცენზიის მსურველი მინიმუმ, ფინალში მაინც უნდა გავიდეს. ეს არცთუ იოლი ამოცანაა, ოღონდ ამ შეჯიბრებაში უკვე ლიცენზირებული მოჭიდავეები აღარ გამოდიან.

გარდა ამისა, მაის-ივნისში სოფია და ბაქო უმასპინძლებენ მოკრივეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირებს, მაისშივე კანოისტები ლიცენზიების გასანაწილებლად შეიკრიბებიან გერმანულ დუისბურგში, ასევე მაის-ივნისში კი ნოტინგემსა და ანტალიაში დარჩენილი ოლიმპიური ადგილებისთვის იბრძოლებენ მშვილდოსნები. გარდა ამისა, ოლიმპიადაზე მოხვედრის მეტნაკლები შანსი აქვს ჩვენს 3-4 მძლეოსანს, აგრეთვე ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს.

# იბრაჰიმოვიჩი მილანისკენ მიიწევს, პოგბა იუვეში რჩება

ზლატან იბრაჰიმოვიჩის, მარიო ბალოტელისა და პოლ პოგბას აგენტმა მინოლა რაიოლამ საკუთარ კლიენტებზე ისაუბრა.

როგორც ირკვევა, შვედი ფორვარდის ხელში ჩაგდების ყველაზე კარგი შესაძლებლობა მილანს აქვს.

**მინოლა რაიოლა:**

– პრესაში მისი იტალიაში შესაძლო დაბრუნებაზე არაერთხელ დაიწერა. დავადასტურებ ამ ინფორმაციას და დავამატებ, რომ ზლატანმა ახალი სეზონი შესაძლოა როსონერის რიგებში დაიწყოს. ბალოტელი? მას რომ იბრას ჭკუა ჰქონოდა, ახლა მესის უფრო ნაკლები პირადი ტიტული ექნებოდა. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: გარკვეული ხნის წინ უფრო ახლოს ვიყავი რომას შეძენასთან, ვიდრე პალოტა და პირველი, რასაც გავაკეთებდი, ტოტის გაშვება იქნებოდა. პოგბა ჩელსიში? ჯერჯერობით არა...

ჩელსის რა მოგახსენოთ, მაგრამ პოგბას ხელში ჩაგდება სიტის რომ სურდა და სურს, ფაქტია. იუვენტუსის გენერალურ დირექტორ ჯუზეპე მაროტას განცხადებით, მანჩესტერული კლუბი მართლაც იხდიდა 100 მილიონს პოლ პოგბას სანაცვლოდ.

**ჯუზეპე მაროტა:**

– ბრიტანელები არაერთხელ მოგვმართეს და უკანასკნელი მათი წინადადება მართლაც კოლოსალური იყო, მაგრამ ჩვენი პოზიცია ურყევია – ფრანგი არ არის სატრანსფერო ბაზარზე და ამით ეს ისტორია დასრულდა. ჩვენ დღემდე ვიღებთ საინტერესო წინადადებებს როგორც პოგბაზე, ასევე დიბალაზე, მაგრამ ნიჭიერ ფეხბურთელებთან დამშვიდობება ჩვენი სტილი არ არის. გვსურს ისინი რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ. ფრანგი ჯერ სულ რაღაც 23 წლის არის და იუვეში დიდი ხნის განმავლობაში დარჩება.





*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რეალი-ატლეტიკო — 2 წლის წინანდელი ფინალის რიმეიკი

**რეალი – სიტი 1:0**

**1:0 ფერნანდო (20სკ)**

**რეალი:** ნავასი, კარვახალი, რამოსი, პეპე, მარსელო, კროოსი, მოდრიჩი (კოვაჩიჩი 88), ისკო (ხამესი 67), ხესე (ვასკესი 56), რონალდუ, ბეილი

**სიტი:** ჰარტი, სანია, კომპანი (მანგალა 10), ოტამენდი, კლიში, ფერნანდო, ფერნანდინიო, ნავასი (იენაჩო 69), ტურე (სტერლინგი 69), დე ბრუინი, აგუერო

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წყვილიდან ფინალში მადრიდის რეალი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ სიტის შეტევაში კარგი ფეხბურთელების კრებული ჰყავს, პრაქტიკულად არაფერი შეუქმნიათ კეილორ ნავასის კართან, რომელმაც უკვე მე-9 მატჩი ჩაატარა მშრალად ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში.

შეტევაში ვერც რეალი ბრწყინავდა, მაგრამ სწრაფი გოლის გატანა მაინც მოახერხეს. დანიელ კარვახალის ჩინებული პასის შემდეგ, გარეთ ბეილი, სავარაუდოდ, კარის გასწვრივ უტყავდა, მაგრამ მისი დაბლოკვის მცდელობისას ფერნანდომ კარისკენ შეუცვალა მიმართულება.

ამის შემდეგ რეალი ისევ ფლობდა უპირატესობას, მაგრამ ზედ ტაიმის მიწურულს კინაღამ გოლი გაუშვა – ფერნანდინიოს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მე-2 ტაიმში კი რეალმა მეტოქე ბოლომდე დაჩაგრა. ერთია, რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა. ბოლო წუთებში კი მადრიდელები დაცვაში ჩაჯდნენ და ისევ გადაურჩნენ გაშვებულ გოლს, რაც წაგების ტოლფასი იქნებოდა. ამჯერად მიზანმა სერხიო აგუეროს უმტყუნა.

მიუხედავად მწირი ანგარიშისა, მთლიანობაში რეალმა აჯობა მეტოქეს და დამსახურებულად გავიდა ფინალში, სადაც 2 წლის წინანდელი ფინალის რიმეიკი იქნება – რეალი-ატლეტიკო. თუმცა, ამჯერად გამოკვეთილი ფავორიტი არ მოჩანს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – გარეთ ბეილი



უელსელმა გამარჯვების გოლი გაიტანა. მართალია, ის ფერნანდოს ჩაუწერეს, მაგრამ ვალიელის აქტიურობამ გამოიწვია. ბეილს მეორე ტაიმშიც შეეძლო გატანა, მაგრამ ხარიხას მოარტყა. თავადაც აქტიური იყო და თანაგუნდელებსაც შეუქმნა მომენტები. რონალდუს კრიზისის პერიოდში, ლიდერობა იტვირთა.

**ზინედინ ზიდანი:**

– რთული შეხვედრა გამოვიდა, მაგრამ წინასწარ ვიცოდით, რომ ასე იქნებოდა. ფინალი რთული და თანაბარი იქნება, მაგრამ ახლა ჩვენ გამარჯვებას ვზეიმობთ, დავისვენებთ და შემდეგ 28 მაისისთვის მოვემზადებით. ძალიან გახარებული ვარ, რომ ამ ფეხბურთელების გაწვრთნის პატივი მხვდა წილად. ერთად მუშაობა უნდა გავაგრძელოთ და უნდა გვჯეროდეს, რომ დიდი გამარჯვებების მოპოვება შეგვიძლია...

**მანუელ პელეგრინი:**

– გულდაწყვეტილები ვართ, რადგან მარცხს არ ვიმსახურებდით. გატანილი გოლის ეპიზოდში მეტოქეს ძალიან გაუმართლა. თანაბარი თამაში იყო, რომელშიც ჩვენი იდეების რეალიზება ვერ მოვახერხეთ, მეტოქე კი მომენტების შექმნის შესაძლებლობას არ გვაძლევდა. ვფიქრობ, რომ ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა – რეალს, უბრალოდ, გაუმართლა.

# სანიკიძეს ორმაგ დუბლამდე მოხსნა დააკლდა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა 29-ე ტურში ვიქტორ სანიკიძის ტედ კოლეჯლილერი ლიდერ ეფესს დაუხვდა და 66:89 დამარცხდა, ქართველ ფორვარდს კი ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

სანიკიძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 31 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და 2 დაფარება მოაგროვა. ვიქტორმა 6-დან 5 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

ანკარელებს 9 მოგება და 20 მარცხი მოუგროვდათ, თუმცა, უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს, რადგანაც წააგო მათმა უშუალო კონკურენტმა ტურკ ტელეკომმაც.

საპირისპირო სტატისტიკით – 20 მოგებითა და 9 მარცხით მე-3 ადგილს ინარჩუნებს მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკა, რომელმაც ტრაბზონსფორი 76:71 დაამარცხა.

ჩვენებურმა მოედანზე 23 წუთი დაჰყო და 10 ქულას, 1 მოხსნას, 1 ჩაჭრასა და 1 დაფარებას მოუყარა თავი. მარკოიშვილმა 3-ვე ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

ბოლო ტურში დარუშაფაკა, რომელსაც პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვს, ეფესს ესტუმრება, ხოლო ტედ კოლეჯლილერი – გაზიანთეფს.

ესპანეთის მეორე ლიგაში უმაღლესში გადასასვლელი ბრძოლა პლეი ოფში მიმდინარეობს, რომლის გამარჯვებულიც ელიტ-დივიზიონის საგზურს მოიპოვებს. ბექა ბურჯანაძე და მისი გუნდი – ლიმა ბასკეტ კორუნა კი ნახევარფინალში გავიდა. ბურჯანაძის გუნდი პლეი ოფის პირველ წრეში ბრეგანს შეხვდა. სერია 3 მოგებამდე იყო და გამარჯვებულის გამოვლენას 5 მატჩი დასჭირდა.



სერიის გადამწყვეტი, მე-5 მატჩი ლა კორუნიაში გაიმართა და მასპინძელთა იოლი გამარჯვებით – 99:63 დასრულდა. ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა.

ბექამ მოედანზე 24 წუთი დაჰყო და 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. საბოლოოდ ბექამ 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

კორუნა ბასკეტი ნახევარფინალში მელილას შეხვდება, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა, მეორე ნახევარფინალში კი ბურგოსი და უესკა ითამაშებენ.

# ბარსელონას მარტინესი და მარკინიოსი სურს





სულ მალე ახალი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და კლუბები უკვე ცდილობენ ახალი ფეხბურთელების შერჩევას. ერთ-ერთი ყველა აქტიური კლუბი ბარსელონაა, რომელიც ადრე ასეთი აქტიურობით იჩენდა თავს.

ბარსელონის სამიზნე ხავი მარტინესია. ესპანური გამოცემები იტყობინება, 27 წლის ესპანელი საყრდენი ხავი მარტინესი, მარკინიოსთან და ემერიკ ლაპორტთან ერთად ბარსელონაში უახლოეს ზაფხულში გადასვლის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება.

პსჟ-ს მარკინიოსის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვა და ბრაზილიელის გასხვისება არ სურს, ხოლო ლაპორტი სიტის შემადგენლობაში გადასვლას უახლოვდება.

შესაძლოა, ტრანსფერს ხელი შეუშალოს იმან, რომ გასული წლის დეკემბერში ხავი მარტინესმა ბაიერნთან ხელშეკრულება 2021 წლამდე გაახანგრძლივა.

# მურთაზა აჰმადის ოჯახი კრიმინალებმა შეაწუხეს

ლიონელ მესის ცნობილი ავღანელი გულშემატკივრის, მურთაზა აჰმადის ოჯახს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოუხდა. როგორც ირკვევა, ამის შემდეგ აჰმადის ოჯახს ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფებიდან დაუკავშირდნენ.

5 წლის მურთაზა პოლიეთილენის პარკით გაკეთებული მესის მაისურით გახდა ცნობილი. მას შემდეგ, რაც მისი ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა, ბრიტანულმა მედიამ მისი ვინაობა დაადგინა, არგენტინელმა ვარსკვლავმა კი მურთაზას საჩუქრად მაისური გაუგზავნა.

კრიმინალებს ეგონათ, რომ მესის საჩუქართან ერთად ოჯახმა ფულიც მიიღო და მურთაზას მამისგან თანხას ითხოვდნენ.





– ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების წევრისგან ზარი მივიღე. მას ეგონა, რომ მესიმ ფული გამოგვიგზავნა და თანხას გვთხოვდა, – ამბობს მურთაზას მამა.

აჰმადების ოჯახი პაკისტანის ქალაქ კვეტაში დაბინავდა. მათ დედაქალაქ ისლამაბადში სურდათ გადაბარგება, თუმცა ამის განხორციელება ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლეს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რუსეთი-ნატო: კონფრონტაცია ძლიერდება?



რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ იქმნება ახალი ქვეგანაყოფები, რომელთა ამოცანაც ნატოს ჯარებთან ბრძოლაა.

რამდენიმე დივიზიას რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან განალაგებენ, რამდენიმეს – სამხრეთ საზღვრებთან.

– სულ ამ ნაწილებში 10.000 ჯარისკაცი იქნება, – განაცხადა შოიგუმ.

აშშ-ის ჯარების სარდალი ევროპაში, გენერალი სკამაროტი შოიგუს ვალში არ დარჩა.

– ჩვენ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან შეგუებას არ ვაპირებთ! თუკი საქმე ძალისმიერ დაპირისპირებამდე მივიდა, საამისოდაც მზად ვართ! – თქვა სკამაროტიმ.

რუსეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსებმა ბალტიის ზღვაში ამერიკულ თვითმფრინავსა და სამხედრო ხომალდზე იერიშის იმიტაცია განახორციელეს. ექსპერტები თვლიან, რომ სკამაროტის განცხადება წარმოადგენს სიგნალს მოსკოვისადმი.

# ქერი: „სირიასთან დაკავშირებით რუსებთან ახალ შეთანხმებას მივაღწიეთ“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ რუსებთან მიღწეულია შეთანხმება სირიაში მშვიდობის აღდგენასთან დაკავშირებით.

– ხანგრძლივმა დიპლომატიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. რუსები დათანხმდნენ, რომ სამშვიდობო ზონა ალეპოზეც გავრცელდეს, – თქვა ქერიმ.

მიუხედავად ამისა, ალეპოსთან ბრძოლები გრძელდება. ასადის არმია დანაკარგს განიცდის. მოკლულია სამთავრობო ჯარის 40-მდე ჯარისკაცი. ოპოზიციის მხრივ დაღუპულია 10 მეომარი.

დიქტატორმა ასადმა სამშვიდობო შეთანხმების დარღვევაში ოპოზიცია დაადანაშაულა:

– შეტევა მათ წამოიწყეს. შედეგად დაღუპულია 100-მდე მშვიდობიანი მოქალაქე, – ამბობს ასადი.

# სომხეთმა, შესაძლოა, მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროს



სომხეთის მთავრობამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს.

ამის თაობაზე სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შავარშ კოჩარიანმა განაცხადა.

– საკითხი კარგა ხანია მომწიფდა, – აცხადებს კოჩარიანი.

მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს სომხეთის პარლამენტი 10 მაისს განიხილავს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ლავროვი თურქეთს ბრალს სდებს



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თურქეთი ოსმალეთის იმპერიის აღდგენის მცდელობაში დაადანაშაულა.

ლავროვმა განაცხადა, რომ ეს სირიასთან დაკავშირებით აშკარად გამოჩნდა.

– თურქები ყველაზე მეტს ლაპარაკობენ „გეგმა ბ“-ზე და სირიაში გავლენის ზონების შექმნას ცდილობენ, – თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ერაყთანაც თურქეთი იმპერიულ კურსს ატარებს და ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ცდილობს.

მესამე ქვეყანა, რომელსაც თურმე თურქეთის აგრესია ემუქრება, საბერძნეთია.

– მხოლოდ წელს თურქეთმა საბერძნეთის საჰაერო სივრცე 100-ჯერ დაარღვია, – აცხადებს ლავროვი.

# საპროტესტო აქციები სკოპიეში

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში საპროტესტო აქციები განახლდა. პრეზიდენტ გეორგე ივანოვის გადადგომის მოთხოვნით ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდა.

ივანოვმა სპეციალური განკარგულებით შეაჩერა იმ მაღალჩინოსანთა საქმეების გამოძიება, რომელთაც ბრალად კორუფცია ედებათ.




**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი
## 6 მაისისთვის



**ვერძი** – არაკეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გელით ინდივიდუალური მუშაობისას. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ, რადგან ტრავმის მიღების ალბათობა იზრდება. **კურო** – აქტიურად დაისვენეთ, გააანალიზეთ მოვლენები, დაგეგმეთ მნიშვნელოვანი საქმეები. ერიდეთ ექსპერიმენტებს. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ შორ გზაზე მგზავრობას, ასევე – ახალ ნაცნობობას. **კირჩხიბი** – თუ მსხვილი საქმიანი კონტრაქტი შემოგთავაზეს, დათანხმდით. წარმატების გარანტი თქვენი ახლო გარემოცვაა. **ლომი** – ივარჯიშეთ, ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კოლექტიური საქმიანობა სასურველი არ არის. შედეგები უარყოფითი იქნება. იყავით გულმოწყალე და მიმტევებელი. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა არ გაგიჭირდებათ. **ღრიანკალი** – საყიდლებზე წასასვლელად, ძვირფასი ნივთების შესაძენად შესაფერისი დღეა. ასევე წარმატებული იქნება მსხვილი კაპიტალდაბანდება. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – პროფესიონალურ სფეროში. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **თხის რქა** – დღეს დაისვენეთ. ნებისმიერი წამოწყება კრახით დამთავრდება. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **მერწყული** – საოჯახო საქმეები თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – იმედგაცრუებისა და ცდუნების პერიოდია. შესაძლოა, ნათესავებთან ურთიერთობა გაგირთულდეთ. ენერგია დაზოგეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. საკრედიტო საადგილ-მამულო დაწესებულება მე-19 საუკუნის საქართველოში; 2. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. სუსტი მოწინააღმდეგისთვის მიცემული ფორა, რაიმე შეჯიბრებაში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 20. ესპანელი ფერმწერი.

**თარაზულად**: 5. უბანი თბილისში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. გერმანული ქიმიურ-ფარმაცევტული კომპანია; 11. ღვინის სასმისი; 13. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 15. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. კინობოევიკების მთავარი გმირი; 22. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. იუდოფილი; 3. პრობსტი; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ლიპტონი; 15. მცხეთა; 16. გრემიო; 18. ტაიჭი.

**თარაზულად:** 4. კაბოშონი; 6. უზუნდარა; 8. კამბეჩოვანი; 10. მუხიანი; 13. ვატი; 12. მდოგვი; 14. ამური; 17. ბასფი; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. არგო; 22. სალვადორი; 23. ჭინჭარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაირამი; 2. ჭანები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. ბარსელონა; 8. პრეტორია; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. მორჩილი; 19. იავა; 20. აურა.

**თარაზულად:** 5. ბასტილია; 6. კატალონია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედია; 13. მდადი; 15. მიმინო; 18. რუმბა; 21. ბაკურიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


# შორენა ბეგაშვილი საზოგადოებისგან დახმარებას ითხოვს



გადაცემა „იღბლიანი ბორბლის“ წამყვანი და მსახიობი შორენა ბეგაშვილი საზოგადოებისგან დახმარებას ითხოვს. მსახიობს ბოლო პერიოდში საკმაოდ დაძაბულ და სტრესულ მდგომარეობაში უწევს ცხოვრება. მისი ერთადერთი შვილი, 14 წლის ევა ბარბაქაძე, რამდენიმე კვირის წინ მეხუთე სართულიდან გადავარდა და სერიოზული ტრავმები მიიღო.

რამდენიმე დღის წინ შორენამ ევა იაშვილის კლინიკიდან სახლში წაიყვანა. გოგონას ორი ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა და სახლშიც გაეწერა, მაგრამ ახლა მას საზღვარგარეთ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი ესაჭიროება, რაც სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული.

ამ ეტაპზე ოჯახს ფინანსური რესურსები ამოეწურა და საზოგადოების მხრიდან თანადგომა ესაჭიროება. შორენამ თავისი მანქანის გაყიდვის გადაწყვეტილებაც მიიღო, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ევას დასახმარებლად ბანკ „რესპუბლიკაში“ სპეციალური ანგარიში გაიხსნა, სადაც ნებისმიერ მსურველს ნებისმიერი რაოდენობის თანხის ჩარიცხვა შეუძლია.

# სალომე ბაკურაძე ალექსანდრეს დედა გახდა



მომღერალი სალომე ბაკურაძე პირველი შვილის, ბიჭის დედა გახდა. პატარა იმედის კლინიკაში 5 მაისს 2600 კგ და 48 სმ დაიბადა. მომღერალი თავის ორსულობას 7 თვემდე მალავდა და სანამ მუცელი კარგად არ დაეტყო, ჟურნალისტებისთვის მისი ორსულობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

სალომე ბაკურაძე პოპულარული სხვადასხვა მუსიკალური პროექტიდან გახდა. მისი მეუღლე პროდიუსერი ლაშა ბასლანძეა. ლაშასთვის ეს მეორე შვილია. მას პირველი ქორწინებიდან ელენე ჰყავს.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მას მშობლებმა ალექსანდრე დაარქვეს. სახელის შერჩევას კი თავისი ისტორია აქვს, რომელიც იტალიის საფეხბურთო გუნდ „იუვენტუსთან“ და ცნობილ ფეხბურთელ ალესანდრო დელ პიეროსთან არის დაკავშირებული.

ლაშა ბასლანძე „იუვენტუსისა“ და დელ პიეროს დიდი გულშემატკივარია, ამიტომაც გადაწყვიტა, რომ თავის ბიჭს ალესანდროს პატივსაცემად ალექსანდრეს დაარქმევდა:

– დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ლაშამ გამოიწერა „პირლოს“ საბავშვო ბოდე „იუვენტუსის“ ემბლემით, რომელიც საკუთარ პერანგებთან ერთად დაკიდა და თქვა, როცა შვილი გვეყოლება, ამას ჩაიცვამსო. აი, სწორედ მაშინ, როცა ჩემი ფეხმძიმობა შევიტყვე, ლაშა სამსახურში იყო, გადავუღე ფოტო ბოდეს და ლაშას გავუგზავნე წარწერით: „მოემზადე!“ – განუცხადა ჟურნალისტებს სალომე ბაკურაძემ.

# მაია დარსმელიძეს ექიმების დახმარება დასჭირდა



მომღერალ მაია დარსმელიძეს ექიმების დახმარება დასჭირდა. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ არამიანცის საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც თავად მომღერალი ამბობს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად გაუარესდა და იმდენად ცუდად იგრძნო თავი, რომ დაიჯერა, კვდებოდა.

**მაია დარსმელიძე:**

– ბევრი რამე გამომივლია. ყოველთვის, როდესაც ჩემს საქმეში ჩემთვის რაიმე მნიშვნელოვანს ვაკეთებდი, ხან სცენიდან ფრენა და დალეწილი ნეკნები, ხან ერთთვიანი ჰოსპიტალიზაცია, ხან ჩემს კონცერტზე ისეთი „ალეწვა“, რომ დღემდე მიკვირს, როგორ არ მოვკვდი პირდაპირ სცენაზე და ჩავატარე ეს კონცერტი... მსგავსი ამბების მეტი რა მქონია. ახლაც ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია...

გუშინ, როდესაც საავადმყოფოს „კოიკაზე“ ვიწექი, მეგონა რომ „ვსიო“... მეც და სტეფანეც დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვეულებრივად ვკვდებოდი... არ ვიცი, რა მოხდებოდა, დროულად რომ არ მოსულიყო სასწრაფო.

მე დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, რომ კიდევ დიდხანს ვაპირებ „აქ“ ყოფნას, რადგან კიდევ უამრავი რამე მაქვს სასწავლი, საექსპერიმენტო. ძალიან ბევრი საქმე მაქვს და, ვინმეს თუ ჩემი პირადი განვითარებით დისკომფორტს ვუქმნი ან მისთვის არასასურველ ნიშაზე ვტოვებ, ან დამეწიეთ, ან შემეგუეთ რამენაირად...

# ნუგზარ ერგემლიძე საიუბილეო კონცერტს გამართავს



მომღერალი და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი ნუგზარ ერგემლიძე იუბილეს კონცერტით მეგობრებთან ერთად აღნიშნავს.

6 მაისს თბილისის „ივენთ ჰოლში“ იუბილარი ჩაატარებს კონცერტს სახელწოდებით „თუკი გესიზმრები“.

– საიუბილეო კონცერტი კიდევ ერთი თბილი და ლამაზი საღამო იქნება ქართველი მსმენელისთვის, მით უმეტეს, რომ საკონცერტო პროგრამაში შედის მსმენელისთვის ნაცნობი და საყვარელი ჰიტები, – აცხადებენ კონცერტის ორგანიზატორები.

# ქართულ-გერმანული სპექტაკლი კინომსახიობთა თეატრშია

6-7 და 8 მაისს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში პრემიერაა. პროექტ „გერმანული ენის თვის“ ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გერმანულენოვანი ქართველი დრამატურგის, რეჟისორისა და მწერლის ნინო ხარატიშვილის ქართულ-გერმანული სპექტაკლი „მრისხანება“, რომელიც მისივე პიესის მიხედვით დაიდგა ფრაიბურგის თეატრში გასულ წელს. „მრისხანება“ ფრაიბურგის თეატრისა და თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის კოპროდუქციაა.

სპექტაკლს გერმანული პრესა აქტიურად გამოეხმაურა.

**„ბადიშე ცაითუნგი“:**

– კიდევ ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რატომაც არის „მრისხანება“ ასეთი გამორჩეული წარმოდგენა, სწორედ გერმანულ-ქართული ანსამბლის შთამბეჭდავი შესრულებაა. პრემიერით მოხიბლულ მაყურებელსაც ასეთი აზრი შეექმნა.

# მარჯანიშვილის თეატრს კორეაში ელოდებიან

მარჯანიშვილის თეატრს კორეაში ბუსანის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე ელოდებიან, სადაც რეჟისორი ლევან წულაძე წარადგენს ნიკოლოზ გოგოლის „შეშლილის წერილების“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლს. ეს წარმოდგენა საქართველო-იტალიის კოპროდუქციაა.

გასტროლებამდე რამდენიმე დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ მარჯანიშვილის თეატრი გახდა „კრეატიული ევროპის“ გრანტის მფლობელი რამდენიმე ევროპულ თეატრთან თანამშრომლობით.

16-26 მაისის პერიოდში მარჯანიშვილის თეატრი იტალიაში გაემგზავრება, სადაც ლევან წულაძის „შეშლილის წერილებს“ ითამაშებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


# განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996


# სამგლოვიარო განცხადებები

## რომან გველეთიანის გახსენება



უკვე ორმოცი დღე გავიდა უშენოდ, უსაზღვროდ ტკივილიანი. შენ, შრომით დაღლილი, ტრაგიკულად წახვედი ამ ქვეყნიდან.

აღდგომასაც უშენოდ შევხვდით, რომა! ეს დღესასწაული ძალიან გიყვარდა, სოფელიც ყოველთვის შენს ჩასვლას ელოდა, რომ სააღდგომო კვერცხი დაგერტყათ.

უამრავი სანთელი დაგინთო შენმა დიდმა ოჯახმა, ჩვენო ბუნჩულა, ჩვენო ჭკუის დამრიგებელო უფროსო ძმაო, რომან. აბა, შენ იცი, მანდედან დალოცე შენი დიდი ოჯახი.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული!

შენი ძმები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 6 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.05, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 12.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 **ძიუდო.** ბაქოს გრანსლემი. ფინალური შეხვედრები. 19.25 ძარიანი ავტომობილებით საერთაშორისო შეჯიბრება მე-3 ეტაპის მე-2 რბოლა 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 რიო დე ჟანეირო-2016. სპეციალური გადაცემა. 21.30 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**თამაში**" 03.20 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ დ/ფ "კოფი ანანი" 14.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 16.00 დ/ფ "მესამე ხანა" 18.00 დ/ფ "ჩემი პატარა საწარმო - მიკროკრედიტი ევროპაში" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**ციდან სამ მეტრზე**" 02.00 მხ/ფ "**მეტროპია**" 03.40 მხ/ფ "**მიჩუმებული ყვირილი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00, 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 3.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.00 ძველი ჰანგები "ცისფერი ტრიო" 11.30 ღვთის სახლი 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ტელეზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა" 15.50 კონცერტი "სიმებიანი კვარტეტი, ლიზა ლეონსკაია" 17.30 მიწათმოქმედი "ანანურელი მეურნე" 17.45 ქვიშანი დარჩებიან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხალხური სიმღერა 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოშიდავით გარეჯი" III ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ/სერ. "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.30 "შერეული ორთაბრძოლები" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**შენიღბული**" 1.30 "უნივერსალური ორთაბრძოლები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

6 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2158 | ევრო — 2.5429 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2085 | 100 რუსული რუბლი — 3.3439 |

**ამინდის პროგნოზი 6 მაისისთვის**








## 10 მაისიდან

## ანა ფრანკის დღიური

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 2

**წიგნისა და გაზეთის ფასი 10 ლარი**

## 6 მაისიდან

გიორგი ნადირაძე

## სტალინი – ქართველი კაცი?




წიგნის სპეციალური ფასი 7,5 ლარი

**გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 5 მაისიდან

## დევიდ ბექჰემი

## ჩემი მხრიდან




**მაგარ ყდაში ჩასმული დევიდ ბექჰემის 500-გვერდიანი ავტობიოგრაფიული წიგნი ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.**

**ბექჰემი გულახდილად ყვება როგორც თავისი კარიერის, ასევე პირადი ცხოვრების, ოჯახის, მის გარშემო აგორებული სკანდალების, სირთულეებისა და გამართლებების შესახებ.**

**წიგნის სპეციალური ფასი 6,5 ლარი**

**გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## კრიშტიანო რონალდუს ატლეტიკოსთან თამაში უნდა



28 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს ორი მადრიდული გუნდი – რეალი და ატლეტიკო – დაუპირისპირდება.

რეალის პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ მისთვის ძალიან საინტერესო იქნება ატლეტიკოს წინააღმდეგ თამაში და ის მოუთმენლად ელოდება ფინალური შეხვედრის დღეს. რონალდუმ აღიარა, რომ ტრავმის შემდეგ ის საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ სულ მალე მაყურებელი ისევ ძველ რონალდუს იხილავს.

რეალმა ნახევარფინალში მანჩესტერ სიტი დაამარცხა, ატლეტიკომ კი ბაიერნი გამოთიშა ასპარეზობას. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ ზუსტად ეს გუნდები შეხვდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს და მაშინ რეალმა დამატებით დროში იმარჯვა 4:1.

## კომპანიმ ისევ ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის ბელგიელმა ცენტრალურმა მცველმა ვინსან კომპანიმ რეალთან მატჩის დროს ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ის მანგალამ შეცვალა. ეს ყველაფერი შეხვედრის მე-10 წუთზე მოხდა.

კომპანისთვის ეს სეზონი ტრავმების მხრივ ძალიან პრობლემური გამოდგა და უდავოა, რომ მას ისე არ მკურნალობენ, როგორც საჭიროა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გამოტოვებს ბელგიელი მცველი. ამის შესახებ ცნობილი უახლოეს დღეებში გახდება.

თვითონ კომპანიმ განაცხადა, რომ ძალიან სურდა, თავის გუნდს დახმარებოდა რეალის წინააღმდეგ, მაგრამ მიხვდა, რომ თამაშის გაგრძელებას ვერ შეძლებდა, ამიტომ შეცვლა მოითხოვა.

## არსენალი კანტეს ყიდვას აპირებს



არსენალი ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ლესტერის ფრანგი ნახევარმცველის ნგოლო კანტეს ყიდვას აპირებს.

კანტე ლესტერის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა და ამ გუნდის ჩემპიონობაში მას ლომის წილი უდევს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ მის მიმართ ინგლისური გრანდები იჩენენ ინტერესს.

არსენალი მზად არის, კანტეში 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. როგორც ინგლისურ პრესაში წერენ, არსენალის წარმომადგენლები კანტეს აგენტს უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ, თუმცა ამ შეხვედრების დეტალები პრესისთვის ცნობილი არ არის.

თვითონ კანტე ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## იუმორი

კაცი ქვის ღობეს აშენებს. ცოლი თავზე ადგას და მითითებებს აძლევს:

– ეს ქვა ასე დადე, ის ისე.

ბოლოს კაცი ველარ მოითმენს და ეუბნება:

– ქალო, თავი დამანებე.

– რათა, კაცო?

– რათა და მაშინაც მასე მეუბნებოდი, აქედან, იქიდანო და გახედე, შე შობელძაღლო, ჩვენი გოგო, როგორი დაღრეცილი გამოგვივიდა...

●●●

აფრიკაში ჩასულ ცოლ-ქმარს გორილა გამოეკიდა. თავქუდმოგლეჯილები მირბიან. ერთ-ერთ გზაგასაყარზე ცოლი და ქმარი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. გორილა ქალს გამოეკიდა. ცოლმა ქმარს გამოსძახა:

– მიშველე, კაცოოო!

ქმარმაც გასძახა:

– ეგე ახლა მაგას აუხსენი, თავი მტკივა, წელი მტკივა, წნევა მაქვსო!

●●●

ცოლი და ქმარი ბანდიტებმა დაიჭირეს, კაცი ხეზე მიაბეს და ქალს ეუბნებიან:

– უნდა გაგაუპატიუროთ!

– რა ვქნა, კაცო, დავნებდე?

– ქმარს გამოსძახა ცოლმა.

– შე შობელძაღლო, მა მე ახლა ამ მუხის მომგლეჯი ვარ?!

●●●

ველურებმა ცოლი და ქმარი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს, ცეცხლზე დიდი ქვაბი შემოდგეს და მის გარშემო ცეკვა დაიწყეს. ცოლი ქმარს ეკითხება:

– რას გვიპირებენ, უნდა გაგვაუპატიურონ?

– არა, უნდა შეგვჭამონ!

– იი, მეხი კი დაგაყარე, სულ ჭამაზე უნდა ფიქრობდე, შე უბედურო, შენა?!

●●●

სიძე სიდედრს ეუბნება:

– ბანაობის შემდეგ აივანზე ნუ გადიხარ!

– რატომ?

– რატომ და როგორც ყოველთვის, გაცივდები და არ მოკვდები.

## ტერ შტეგენს ბარსელონაში დარჩენა სურს



ბარსელონის გერმანელმა მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენმა განაცხადა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და სურს, ამ გუნდში გააგრძელოს კარიერა.

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ტერ შტეგენს ბარსელონის დატოვება უნდოდა, მაგრამ გერმანელმა ეს ყველაფერი უარყო და თქვა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებს.

– ბარსელონაში დიდი კონკურენციაა და ყოველთვის ბევრი უნდა იშრომო იმისთვის, რომ თამაშის უფლება მიიღო. ვიმედოვნებ, მომავალში უფრო მეტი სათამაშო დრო მექნება და ამისთვის ძალებს არ დავიშურებ.

მარკ ანდრე ტერ შტეგენი ბარსელონაში 2014 წლის ზაფხულში გადავიდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## პრინცი ჰარი ამერიკაში გვირგვინითა და მანტიით მიდის



ბრიტანეთის პრინც ჰარის „ეშინია“, რომ ამერიკელი ბავშვები მას გვირგვინისა და მანტიის გარეშე ვერ იცნობენ. თავისი ამგვარი შიში დედოფალ ელისაბედ II-ის შვილიშვილმა ჟურნალ „ფიფლთან“ საუბარში გამოთქვა.

ინტერვიუ პრინც ჰარის აშშ-ში ვიზიტს მიეძღვნა. სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ინვალიდი სამხედროების სპორტულ შეჯიბრებას დაესწრება. პირველად ამგვარ ღონისძიებას 2014 წელს ლონდონმა უმასპინძლა, ახლა კი ის ფლორიდაში გაიმართება.

ჰარის თქმით, ხშირად ბავშვებს არ სჯერათ, რომ ის ნამდვილი პრინცია. როგორც პრინც ჩარლზისა და დიანას უმცროსმა შვილმა აღნიშნა, ის ხშირად ამჩნევს ბავშვების სახეზე გულდაწყვეტილობას, ვინაიდან მათთან შეხვედრაზე გვირგვინისა და მანტიის გარეშე ცხადდება.

ჰარი „შიშობს“, რომ ამჯერადაც მისი ყველაზე პატარა ფანები გულდაწყვეტილნი დარჩებიან. ამიტომ მან პირობა დადო, რომ აშშ-ში გვირგვინითა და მანტიით გაემგზავრება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ძველბერძენი მოქანდაკე, ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. დაქირავებული კავალერი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ორგანიზმის ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 14, მდინარე შუა-აზიაში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ქართული ძილისპირული; 19. კუთხე საქართველოში; 20. გემის მზარეული.

**თარაზულად**: 5. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. შტატი აშშ-ში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 11. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 13. მომღერალი პოეტი-მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 21. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 23. ძველებური ქართული ვერცხლის ფული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი